კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tsu.edu.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 25 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
www.tsu.edu.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
36,36%
81,44%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
61,54%
45,13%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
100,00%
56,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
71,43%
47,10%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
45,45%
54,75%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
21,43%
98,33%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20,00%
100,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14,29%
100,00%
0,00%
50,00%
100,00%
150,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. როგორც სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა თსუ-ს ჰყავს ორი ხელმძღვანელი: რექტორი - ალექსანდრე (სანდრო) კვიტაშვილი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - დავით ჩომახაძე. ხოლო ვებ-გვერდზე არ არის მოცემული თსუ-ს არც ერთი ხელმძღვანელის კომპეტენციის აღწერა. ამასთან, ვებ-გვერდზე არ მოიძიება დავით ჩომახაძის არც ერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ხოლო ალექსანდრე კვიტაშვილის - საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

საკონტაქტო ინფორმაცია

- რექტორატი - 0179, თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრ. 1, თსუ I კორპუსი
  - რექტორის მისაღები: ფაქსი: +995 32 2 22 51 07, ელ-ფოსტა rector@tsu.ge
  - ცხელი ხაზი: +995 32 2 22 11 02
- დეკანატები
  - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: science@tsu.ge
  - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: humanities@tsu.ge
  - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: social@tsu.ge
  - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: economics@tsu.ge
  - იურიდიული ფაკულტეტი: law@tsu.ge , d14@ictsu.tsu.edu.ge , ი.ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0128, თბილისი, ტელ: 2 29 08 41
  - მედიცინის ფაკულტეტი: medicine@tsu.ge ; d22@tsu.ge , დავით აღმაშენებლის გამზირი #60, 0102 თბილისი, ტელ.: 2 94 34 54

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება რექტორის მოადგილეების შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ: რექტორის მოადგილეების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა და საკურატორო სფეროს აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილეების არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

3. უნივერსიტეტის სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:

ამასთან, არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, ფაქსის ნომერი და თსუ-ს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება თსუ-ს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (მართვის ორგანოებისა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება თსუ-ს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული თსუ-ს კომპეტენციის სფეროსა და მიზნების აღწერა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება თსუ-ს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია თსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის სფეროს, ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების აღწერის შესახებ, ძალზედ ქაოტურია, კერძოდ, აღნიშნული ინფორმაცია სრული სახით არის წარმოდგენილი მხოლოდ იურიდიული დეპარტამენტისა და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის შემთხვევებში, ხოლო დანარჩენი დამხმარე სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის აღწერა ან საერთოდ არ მოიძიება ვებ გვერდზე, ან არასრული სახით არის წარმოდგენილი;

- ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია: თსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, ასევე, ძალზედ ქაოტურია, კერძოდ, აღნიშნული ინფორმაცია სრული სახით მოიძიება მხოლოდ კანცელარიის უფროსის შესახებ, ხოლო დანარჩენი დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ აღნიშნული სახის ინფორმაცია ან საერთოდ არ მოიძიება ვებ-გვერდზე, ან არასრული სახით არის წარმოდგენილი:

ნუნუ ოვსიანიკოვა

ნუნუ ოვსიანიკოვა
კანცელარიის უფროსი

ტელ: 23 39 16;
ფაქსი: 25 19 46;
ელ. ფოსტა: nunu.ovsyannikova@tsu.ge; ovsyannikova-nunu@rambler.ru
ვებ გვერდი: http://www.tsu.ge

პროფესიული საქმიანობა

2006 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსი, ასოცირებული პროფესორი
2003-2006 თსუ ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის დოცენტი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურის ლაბორატორიის უფროსი.
1998-2003 თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე
1996-1998 სახელმწიფო კანცელარიის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსის მოადგილე
1991-1996 თსუ ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი
1981-1991 თსუ ორგანული ქიმიის კათედრის ლაბორანტი, ასპირანტი, თსუ ახალგაზრდული ორგანიზაციის კომიტეტის მდივნის მოადგილე, პარტიული სხვადასხვა თანამდებობა.
1971-1972 #8 აფთიაქის სანიტარი

- იგივე ითქმის თსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერის შესახებაც, კერძოდ, აღნიშნული ინფორმაცია სრული სახით არის წარმოდგენილი მხოლოდ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტისა და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის შესახებ, ხოლო დანარჩენი დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კონპეტენციის აღწერა ან არასრული სახით არის განთავსებული ვებ-გვერდზე ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი;

- ინფორმაცია დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, აგრეთვე, ქაოტურია, კერძოდ, ვებ-გვერდზე აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ ორი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების შესახებ არის სრული სახით წარმოდგენილი. ხოლო დანარჩენი დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ან არასრული სახით არის განთავსებული ვებ-გვერდზე;

- ვებ-გვერდზე ასევე, არასრულად არის წარმოდგენილი თსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

ამასთან, თსუ-ს სტრუქტურის სქემატური აღწერის შესახებ ინფორმაცია რთულად ხელმისაწვდომია, კერძოდ, სტრუქტურული ხე მოცემულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „იურიდიული ცნობარი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „დებულებები/ინსტრუქციები“, რაც უკიდურეს სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:



სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს ცალკეული (ქვე-)განყოფილება „უნივერსიტეტის სტრუქტურა“ სადაც განთავსდებოდა თსუ-ს სტრუქტურის შესახებ ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია.

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება თსუ-ს სათათბირო ორგანოს შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოძიება თსუ-ს სათათბირო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;
- არ მოიძიება თსუ-ს სათათბირო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა;
- არ მოიძიება თსუ-ს სათათბირო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები);
- არ მოიძიება თსუ-ს სათათბირო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. თსუ-ს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა არქივი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური ანგარიში (მოცემულია მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და საგამოცდო ცენტრის საქმიანობის სემესტრული ანგარიშები) და სხვ.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ადმინისიტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საფინანსო დეპარტამენტი“ არსებული ქვე-განყოფილებების „არქივი“ შიგთავსი ცარიელია:

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ფაკულტეტები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მედიცინა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ განთავსებულ ვაკანსიის ბმულზე გადასვლისას გვერდი იუწყება, რომ მიმდინარეობს რეკონსტრუქცია:

ცარიელია აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფიელბაში „აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“ არსებული ქვე-განყოფილების „პროგრამები“ შიგთავსი:



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფიელბაში „სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი“ არსებული ქვე-განყოფიელების „ანგარიშები“ მესამე ბმული არ იხსნება.

არ იხსნება აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „იურიდიული ცნობარი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ბოლონიის პროცესი“ მოთავსებული ბმულები:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - დავით ჩომახაძის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ და ასევე, ცობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება თსუ-ს რექტორის მოადგილის - ავთანდილ ჩუთლაშვილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, ასევე, ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

11. ვებ-გვერდზე მოიძიება მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობისა და საგამოცდო ცენტრის სემესტრული ანგარიშები; სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდება როგორც წლიური, ასევე, მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები:





12. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კანცელარია“ განთავსებული ინფორმაცია დოკუმენტბრუნვის მონაცემების შესახებ თარიღდება 2007-2008-2009 წლებით, სასურველია მოიძიებოდეს აგრეთვე, აღნიშნული ინფორმაციის 2010 წლის მონაცემებიც:



- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

13. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „იურიდიული ცნობარი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ნორმატიული დოკუმენტები“ განთავსებული ყველა სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით. მოცემულ განყოფილებაში სასურველია აგრეთვე მოიძიებოდეს თსუ-ს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები.

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილება ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის №277 ბრძანებულება ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის შესახებ”.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

14. თსუ-ს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვის შესახებ ინფორმაცია;

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და თსუ-ში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ ,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის''*

ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელბიც მოიცავენ საჯრო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს თსუ-ს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/TSU_infostatistics.pdf);

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა თსუ-სა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე თსუ-სა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

17. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება „ტენდერები" , თუმცა მასში არ არის განთავსებული თსუ-ს მეირ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), მოცემულია მხოლოდ რამდენიმე განცხადება. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების , პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს თსუ-ს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/TSU_shesyidvebi.pdf);

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

18. სასურველია ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე არსებობდეს ცალკეული (ქვე-)განყოფილება „ვაკანსიები", რომელშიც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა

დასაკავებელი კონკურსის შედეგები (თსუ-ს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

19. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი თსუ-ს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება თსუ-სათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2009-2010 წლების ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია კვარტალების ან/და თვეების მიხედვით (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 47.1 მუხლის თანახმად) ასევე ბიუჯეტებში შეტანილი ცვლილებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს თსუ-ს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/___biujeti0001.pdf);

- არ მოიძიება თსუ-ს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს თსუ-ს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/1_TSU_budget.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის თსუ-ს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/TSU_tanamdebobispirebi.pdf*);

- არ მოიძიება თსუ-ს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის თსუ-ს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/TSU_xelfasipremia.pdf*).

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
70,59%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
70,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
0,00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
66,67%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის რუკა გამოიყენება მთლიანი ინფორმაციის სტრუქტურის მარტივად აღქმისთვის, თუმცა თსუ-ს ვებ-გვერდზე რუკა უფრო დამაბნეველია ვიდრე სხვა კატეგორიები:



რუქაში მარტივად უნდა იყოს გაწერილი რა კატეგორიები არსებობს ვებ-გვერდზე;

ვებ-გვერდში გამოყენებულია მენიუს რთული ფორმა:



სადაც სასურველი კატეგორიის მოძიება საკმაოდ რთული და დამღლელია. მსგავსი მენიუ უნდა იყოს ჩამოსაშლელი, ან უნდა განთავსდეს ხელმარცხნივ. თუ ესაც შეუძლებელია, მენიუს უნდა მიეცეს ნომალური, დალაგებული ფორმა;

- **ძიება**

ვებ-გვერდის მოდულების გადაადგილება მომხმარებელს ხელს უშლის სხვა და სხვა ფუნქციების მარტივად აღქმაში და გამოყენებაში, მაგალითად ამ სურათში ძიების მოდული ხელმარცხნივ მდებარეობს:



ხოლო ამ სურათში ხელმარჯვნივ:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის რამოდენიმე გვერდი, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ვერსიაში ცარიელია:



თუ ინფორმაცია რომელიმე კატეგორიაში არ დევს ან გვერდი მზადების პროცესშია, აუცილებლად უნდა დაეწეროს შესაბამისი მინიშნება და გვერდი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ცარიელი;

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე გარკვეულ კატეგორიებში არ იტვირთება სურათები:

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდზე ატვირთული ტექსტური ფაილები არ უნდა იყოს წარმოდგენილი სურათების ფორმატით:



2011-2012 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების უფლების მქონე პირთა დადგენის მიზნით კომისიის შექმნის, განცხადების ფორმის და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

"2011-2012 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის №274 დადგენილების. "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების [illegible] დებულების დამტკიცების შესახებ"

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე განთავსებულია დიდი რაოდენობის ინფორმაცია, შესაბამისად ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს ძიებს მოდულსა და ნავიგაციაზე. მომხმარებლისთვის, რომელიც პირველად სტუმრობს ვებ-გვერდს საკმაოდ რთულია მისთვის სასურველია ინფორმაციის მოძიება. ვებ-გვერდის მომხმარებლები ძირითადად სტუდენტები არიან, რომელთათვისაც სოციალური ქსელები ყოველდღიური კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, შესაბამისად ვებ-გვერდი უფრო მეტად უნდა იყოს ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან, მხოლოდ ორი ღილაკი ვებ-გვერდის ბოლოს არ არის საკმარისი.